OPEN NET

თარიღი: 6.07.2020

№ 3/008

ბრძანება N3/008

სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

ვინაიდან:

ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი" ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N375 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში — პროგრამა) საპილოტე ნაწილს,

პროგრამის 3^1 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროგრამის საპილოტე ნაწილის შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად განხორციელებას (მათ შორის, სამშენებლო სამუშაოების, საპროექტო, საზედამხედველო, საკონსულტაციო და სხვა მომსახურებების/საქონლის სახელმწიფო შესყიდვას) და აშენებული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციაში გაშვებას ოუფენ ნეტი უზრუნველყოფს საკუთარი სახსრებით, არაუგვიანეს 2020 წლის დეკემბრისა,

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა წარმოადგენს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ღონისძიებას. მისი შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება მხოლოდ გამარტივებული შესყიდვის საშუალებითაა შესაძლებელი, რადგან ტენდერის პროცედურები და მისი თანმდევი გაჭიანურებები შესაძლოა, საზიანო აღმოჩნდეს ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროცესის დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში განხორციელებისთვის,

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ „ოუფენ ნეტმა" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით, შესათანხმებლად წარუდგინოს მოთხოვნა სახელმწიფო პროგრამის საპილოტე ნაწილის განსახორციელებლად საჭირო საპროექტო მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის შესახებ.

2. წინამდებარე ბრძანების შესრულება დაევალოს ა(ა)იპ „ოუფენ ნეტის" შესყიდვების მენეჯერს, ნინო ჩიხლაძეს.

3. წინამდებარე ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

Digitally signed by Mariam Sulaberidze
Date: 2020.07.06 19:44:28 +04'00'

მარიამ სულაბერიძე

ტელ: 322400178
ელ.ფოსტა: office@opennet.ge
საიტი: www.opennet.ge
მისამართი: რ. თაბუკაშვილის ქ. N5